კრეტლერებოდ ფეოლა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მაზრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 28 ნოემბერი, 1948 წ. № 236 (8280). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საუკეთესოდ მოვემზადოთ სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის—მიწერილი (1-ლი გვერდი).
საკოლმეურნეო სოფლის მაზრომელთა ვალდებულებანი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
საქართველოს აღკა თბილისის ორგანიზაციის XXV კონფერენცია (1-ლი გვერდი).
მ. პაპანინი — სახელოვანი ფლისთავი (მე-2 გვერდი).
დ. ლომთათე — რიგში რიგო

ეროვნული

სახელოვანი წლისთავი

მ. პაპიანი
სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

★

სომხეთის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნავენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVIII წლისთავს. 28 წლის წინათ, 1920 წლის 29 ნოემბერს, სომხეთის მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს დაშნაკების — საერთაშორისო იმპერიალიზმის ამ ლაქიების საზიზღარი ბატონობა. ამ ისტორიული აქტით, რომელიც განხორციელდა დიდი რუსი ხალხისა და გმირი წითელი არმიის დახმარებით, ბოლო მოეღო სომეხი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას და იგი გადარჩა ამოწყვეტასა და ფიზიკურ მოსპობას.

დიდი ოქტომბრით შობილმა საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი ნათელი ფურცელი გადაშალა სომეხი ხალხის ისტორიაში, მისცა მას დიდი ხნის ნანატრი „...მშვიდობა და ეროვნული აღორძინების შესაძლებლობა". (ი. სტალინი).

დიდი სტალინის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები სავსებით გამართლდა. განვლილი 28 წლის მანძილზე, ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკისა და საბჭოთა მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით, სომეხმა ხალხმა ისეთ აყვავებას, საწარმოო ძალების ისეთ სწრაფ ზრდას, თავისი ეროვნული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ისეთ აღორძინებას მიაღწია, როგორიც მას არა ჰქონია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში სომხეთი გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა. საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში სომეხი ხალხი მტკიცედ აშენებს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაჩერა სომეხი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. საძულველი მტრის ვერაგული თავდასხმის პირველი დღეებიდანვე ჩვენი ხალხი აღსდგა ოქტომბრის დიად ისტორიულ მონაპოვართა დასაცავად, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. დიდი სამამულო ომის ფრონტებზეც და ზურგშიც სომეხი ხალხი საბჭოთა ქვეყნის ყველა სხვა ხალხთან ერთად წმიდად ასრულებდა დიდი ბელადისა და მხედართმთავრის, გენერალისიმუს სტალინის მითითებებს, განუწყვეტლივ ჭედდა მტერზე გამარჯვებას.

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ სომხეთის მშრომელები ახალი ძალითა და ენთუზიაზმით შეუდგნენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ომის შედეგთა სწრაფ ლიკვიდაციას, სახალხო მეურნეობის შემდგომ, კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას. დიდი სტალინის მიერ დასახული ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულება ღირსების საქმე გახდა სომხეთის ბოლშევიკებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის.

რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის და სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

რესპუბლიკის საწარმოებმა ჯერ კიდევ 1947 წელს 36 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. მიმდინარე წლის ათი თვის მანძილზე პროდუქციის გამოშვება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 21,7 პროცენტით გადიდდა. ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ენერგიულად იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რენტაბელური მუშაობისათვის. მათ პირობა მისცეს ამხანაგ სტალინს, რომ წლის დამლევამდე მიიღებენ 60 მილიონ მანეთ ზეგეგმით დაგროვებას.

ომისშემდგომი ხუთწლედის ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ამუშავდა ახალი საწარმოები — სპიტაკის შაქრის, ალავერდის სუპერფოსფატის, ერევნის კაბელის ქარხნები, ოქტემბერიანის საკონსერვო ქარხანა, ერევნის მაუდის ფაბრიკა, ელექტრომოწყობილობის გამომშვები ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები. ამას წინათ დამთავრდა ომისშემდგომი ხუთწლედის დიდი ობიექტის—სევანის წყალმიმღები ნაგებობის მშენებლობა. მალე ამუშავდება სევანის კასკადის ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგური —მიწისქვეშა ტბის ჰესი.

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა რესპუბლიკის სხვა დიდ ახალმშენებლობებზეც — ქაჯარანმშენზე, გუმუშჰესზე, კიროვაკანის აზოტ-ტუკის, ერევნის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხნებში.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში. განუხრელად ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებას, რესპუბლიკის კოლმეურნეობანი აღწევენ შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, ადიდებენ ნათეს ფართობს და მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობას.

წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით 17,1 პროცენტით გადიდდა ტექნიკური კულტურების ფართობი და 42 პროცენტით—მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

სომხეთის კოლმეურნე გლეხობამ პირნათლად შეასრულა დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა. კოლმეურნეობებმა ვადამდე გაანაღდეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 127 ათასი ფუთი პური. წელს სახელმწიფომ უკვე მიიღო 80 ათასი ცენტნერით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე შარშან.

ამთავრებენ რა წლევანდელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობები აქტიურად ემზადებიან გაზაფხულისათვის და ახლავე უყრიან საფუძველს მომავალ უხვ მოსავალს.

წელს საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღდა საყოველთაო სახალხო მოძრაობა ელექტროფიკაციისათვის. ასრულებენ რა სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, კოლმეურნეობები შეუდგნენ მცირე სიმძლავრეთა ელექტროსადგურების მშენებლობას, წარმოების ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროცესთა ელექტროფიკაციას. რესპუბლიკაში უკვე ელექტროფიცირებულია 328 კოლმეურნეობა. 1950 წლის დამლევამდე უნდა აშენდეს კიდევ 76 სოფლის ჰიდროელექტროსადგური 17.450 კილოვატი საერთო სიმძლავრისა.

სტალინური ხუთწლედის განვლილი პერიოდის მანძილზე შესრულებულია დიდი სამუშაოები მიწის ახალი ფართობის ათვისებლად, საირიგაციო მშენებლობის გასაფართოებლად. უახლოეს ხანში ამუშავდება ქვემოზანგის არხი, შენდება არპალიჩის წყალსაცავი და კოტაიკის მძლავრი სატუმბავი სადგური. დიდი მუშაობაა გაჩაღებული არაძიანის ველის 5 ათასი ჰექტარი დაჭაობებული მიწის ამოსაშრობად.

სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად თავდადებით მუშაობს საბჭოთა სომხეთის ინტელიგენცია, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკის მეცნიერებმა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები შექმნეს. რესპუბლიკის მწერლებმა, თეატრის მუშაკებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა მთელი რიგი რეალისტური ნაწარმოებნი შექმნეს.

წლითიწლობით ძლიერდება მუშაობა რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრების კეთილმოსაწყობად, ფართოვდება საბინაო და კომუნალური მშენებლობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მარტო საზღვარგარეთიდან დაბრუნებული სომხებისათვის რამდენიმე ათასი სახლი აშენდა. კიდევ შენდება 6.500-მდე სახლი. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით ახალ ჩამოსული საბჭოთა მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან სამუშაოთი, მათი შვილები სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

საბჭოთა სომხეთის მშრომელნი მიღწეულს არ სჯერდებიან და დაუღალავად მუშაობენ კიდევ უფრო მეტი გამარჯვებებისათვის.

სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ, რომელიც ამას წინათ შედგა, შეაჯამა პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგები და დასახა გზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებას, ამხანაგ სტალინის მითითებათა წარმატებით შესრულებას.

დღესასწაულობს რა თავისი განთავისუფლების 28-ე წლისთავს, მადლიერი სომეხი ხალხი ერთ წუთსაც არ ივიწყებს, რომ თავის უმაგალითო აყვავებას, თავისი ქვეყნის, მისი მატერიალური და სულიერი ძალების აღორძინებას იგი უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის დიად პარტიას, მშობლიურ სტალინს.

სომეხი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ბოლშევიკების პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო და საბჭოთა კავშირის ხალხებთან მჭიდრო ძმური მეგობრობით განუხრელად ივლის დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

პარტიული ცხოვრება

ნაკლოვანებათა გამოსწორების გზით

მიხეილ მეზვრიშვილი სიყვარულითა და მონდომებით ასრულებს პროპაგანდისტის საპატიო მოვალეობას. პოლიტსკოლა, რომელსაც ის კასპის ცემენტის ქარხანაში ხელმძღვანელობს, წარმატებით მუშაობს და სანიმუშოა მთელ რაიონში.

პოლიტსკოლის მსმენელები, რომლებიც ყოველ ოთხშაბათობით დანიშნულ დროსა და ადგილას იკრიბებიან, ყურადღებით ისმენენ ამხ. მეზვრიშვილის ღრმაშინაარსიან საუბრებს. მსმენელებიც მონდომებითა და მაღალი აქტივობით მეცადინეობენ.

ბეჯითი მეცადინეობით გამოირჩევიან ნ. რევიშვილი, ა. შარიქაძე, ა. არაქელოვი, ბაინდურაშვილი და სხვ., რომელთა პოლიტიკური მომზადების დონე განუხრელად მაღლდება.

კარგად დაიწყო მუშაობა კასპის რაიონში შექმნილი პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და პოლიტსკოლების უმეტესობამ. აღსანიშნავია სოფელ ახალქალაქის, სამთავისის, რკვალიჭალის და მეტეხის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან შექმნილი პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების ნაყოფიერი მუშაობა.

საღამოს პარტიულ სკოლაში, რომელმაც მუშაობა დაიწყო 15 ოქტომბერს, 31 კომუნისტი სწავლობს. რეგულარულად იკრიბება პარტაქტივის მუდმივმოქმედი ორი სემინარი, სადაც 78 კომუნისტია გაერთიანებული.

პარტიული განათლების ქსელის მეცადინეობის დაწყების პირველ დღეებში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც. ცემენტის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ პოლიტსკოლაში პირველ მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 5 კომუნისტი. პარტბიურომ (მდივანი ამხ. გ. მათეშვილი) ეს ფაქტი მეორე დღესვე მსჯელობის საგნად გახადა და კომუნისტებს კ. შუბაბერიძეს, მ. ქსოვრელს, ვ. კანდელაკს, გ. თაბუკაშვილს და ვ. ოდიშვილს გაფრთხილება მისცა.

წარმატებით დასძლიეს აგრეთვე პარტიულ სწავლებაში პირველი დღის ნაკლოვანებანი ჯანმრთელობის განყოფილების, სოფელ ყარაღაჯისა და თვალადის პირველადმა პარტორგანიზაციებმა.

ამას წინათ ჩატარდა პროპაგანდისტთა რაიონული თათბირი, რომელიც პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის ერთი თვის შედეგებს მიეძღვნა.

ს. ყურაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პარტკაბინეტში შეიქმნა პროპაგანდისტთა ოთახი

ქუთაისი, (საკ. კორ.). წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი (გამგე მ. ცანავა) სერიოზულ ღონისძიებებს ატარებს პროპაგანდისტთა მუშაობის გასაუმჯობესებლად. პროპაგანდისტებისათვის ეწყობა მეთოდური ხასიათის საუბრები და გეგმიური მეცადინეობანი. ამასთან, ხშირად იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისათვის.

პარტკაბინეტში მოეწყო პროპაგანდისტთა ოთახი. ამ ოთახში გამოფენილია მასალები და თვალსაჩინოება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ცალკეული თავების მიხედვით, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესახებ და სხვ. აქვე არის რეკომენდირებული ლიტერატურის სია.

ვიბრძვით ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის

წარმატებით მუშაობს ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივი. მან უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. დეპოელთა ბრძოლას უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია.

პარტიული ორგანიზაციის კრებებზე, პარტიულ ჯგუფებსა და საამქროებში გულდასმით განვიხილეთ მოსკოვის 35 საწარმოს კოლექტივის მოწოდება. მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ დეპოს კოლექტივმა გამონახა ახალი რესურსები ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვებისათვის. გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებებზე. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ კომუნისტების ლ. ქვირიას, გ. სტეფანოვისა და გ. მაჩხანელის წინადადებებს. მათ გაუმჯობესება შეიტანეს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში. მარტო რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა, რომელთა რიცხვიც 31-დან 41-მდე გაიზარდა, წარმოებას მისცეს 17.650 მანეთი ეკონომია.

პარტიული ორგანიზაცია საყურადღებო ღონისძიებებს ახორციელებს მუშაკთა ტექნიკური ცოდნის გაფართოებისათვის. გარდა იმისა, რომ დეპოში შექმნილია ტექმინიმუმის წრე, სადაც კვირაში ორჯერაა მეცადინეობა, პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით სისტემატურად ეწყობა ლექციები საწარმოს ტექნიკის საკითხებზე. მაგალითად, ინჟინრებმა ა. აგლაძემ, ლ. ქაჯაიამ, ა. ლეჟავამ, მემანქანე ინსტრუქტორებმა მ. შიუკაშვილმა და ნ. ტყეშელაშვილმა წაიკითხეს ლექციები: „ელმავლის საკისარების წვის თავიდან აცილების საშუალებანი", „ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის ღონისძიებანი", „ელმავლის სქემა", „მუხრუჭები" და სხვ.

ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვით, წარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით, მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვით, წუნისა და უნაყოფო ხარჯების ლიკვიდაციით დეპოს კოლექტივმა 10 თვეში სამშობლოს მისცა ზეგეგმითი დაგროვება 502 ათასი მანეთის რაოდენობით და დაზოგა 3.700.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, გეგმის გადამეტებით გადაზიდა ათასობით ტონა ტვირთი, ტექნიკურ სიჩქარეს გადააჭარბა 2,8 კილომეტრით საათში და პარკში მყოფი ყველა ელმავალი სავსებით მოამზადა ზამთრისათვის.

აწევითი შეკეთების საამქრომ, რომელსაც კომუნისტი ოსტატი ლ. ქვირია მეთაურობს, 10 თვის დავალება 140 პროცენტით გაანაღდა. ამ საამქროში ელმავლების შემკეთებელი თვითეული მუშა დღეში ორ-ორ ნორმას იძლევა. მათ გეგმის გადამეტებით აღადგინეს წევის ძრავის კორპუსი და ღუზა, დაამონტაჟეს 20 ელექტროღუმელი. საუკეთესო მაჩვენებლები აქვს პერიოდულ საამქროს ოსტატ ნ. ბარბაქაძის მეთაურობით. საამქრომ გეგმის გადამეტებით შეაკეთა მრავალი ელმავალი და დაამზადა საკონტაქტო ქსელის 1.364 წყვილი დეტალი. ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულა დავალება დამხმარე საამქრომ, რომელსაც კომუნისტი ვ. ელისაშვილი ხელმძღვანელობს, და ელექტროსაამქრომ, რომლის ხელმძღვანელია ოსტატი გ. მაჩხანელი.

დეპოში მომუშავე ყველა კომუნისტი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას. განსაკუთრებით ისახელეს თავი კომუნისტებმა — ელექტროზეინკალმა ი. დავითაძემ, ხარატებმა ნ. ნოზაძემ და ნ. გიუაშვილმა, შემდუღებლებმა ა. ქურდაძემ და ი. ლომიძემ, რომლებმაც 2 წელსა და 10 თვეში შეასრულეს 6-7 წლის დავალება.

კომუნისტმა მემანქანეებმა გ. ლაბაძემ, ა. ძინძიბაძემ, ს. ღამბაშიძემ და შ. ლაბაძემ, შეკეთებიდან შეკეთებამდე ნაცვლად 50.000 კილომეტრისა, გაირბინეს 114.000 კილომეტრი და დაზოგეს 14.967 მანეთი. მძიმეწონიანი მატარებლების კრივონოსულად ტარების ოსტატობას დაეუფლნენ მემანქანეები ი. მექურიშვილი, ვ. გაჩეჩილაძე, ა. ბარანოვსკი, დ. მაჭარაშვილი და სხვები.

პარტიული ორგანიზაცია რაზმავს კოლექტივს წუნისა და ავარიის წინააღმდეგ საბრძოლველად. აპრილში მემანქანე ი. ბეროზაშვილმა და მისმა თანაშემწე ს. დურგლიშვილმა, რომლებიც წესიერად არ უვლიდნენ ელმავალს, დაწვეს წევის ძრავის ღუზა. მემანქანე გ. ბულაძემ და მისმა თანაშემწემ ბ. ლურსმანაშვილმა სიგნალიზაციის წესის დარღვევით დაუშვეს წუნი. პარტიულმა ორგანიზაციამ ეს ფაქტი მსჯელობის საგნად გახადა. გატარდა ღონისძიებანი მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად. კერძოდ ს. დურგლიშვილი მეისრედ ჩამოაყენეს. ეს იყო, ასე ვთქვათ, გაფრთხილებაც სხვებისათვის.

დეპოში საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას დიდად უწყობს ხელს ისიც, რომ კარგად არის დაყენებული სააგიტაციო მუშაობა. გვყავს 27 აგიტატორი და 9 წამკითხველ-მესაუბრე. აგიტატორთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ლ. ქვირია, გ. მაჩხანელი, გ. გოგოლაძე, გ. მშვენიერაძე, გ. ამაშუკელი, ა. ფქიალაძე და სხვები. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ისმენს მათ მოხსენებებს და ეხმარება აგიტაციის ხარისხის ამაღლებაში.

ხაშურის საელმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 197 კომუნისტს ითვლის, მთელ კოლექტივთან მჭიდრო კავშირით, ადმინისტრაციასთან შეთანხმებული მუშაობით უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

ალ. ჯანჯღავა
ხაშურის საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მშენებლობები

რიგში ჩამოუყენებიათ ელექტრომავლები

დასავლეთისაკენ გასული საგარეუბნო მატარებელი დედაქალაქის ფარგლებს არც კია გაშორებული, რომ აგურით ნაგები მაღალი გალავნის მთავარ ჭიშკართან წუთით შეჩერდება. გადმოვლენ მგზავრები, სხვები ავლენ ვაგონებში და კვლავ განაგრძობს მატარებელი თავის გზას. ეს მაღალი გალავანი საიმედო მოაჯირად შემოუვლიათ ვეებერთელა ფართობისათვის, რომელზეც გოლიათური საქარხნო კორპუსებია აღმართული.

12 ნოემბრიდან ამ კორპუსების ერთ ნაწილში უკვე შეუდგნენ ელექტრომავლების რემონტს და სადაცაა დაიწყებენ თბომავლების და დიზელმატარებლების, სარკინიგზო წევის ყოველგვარი ლოკომოტივების, გარდა ორთქლმავლებისა, საქარხნო შეკეთებას. ეს არის საქართველოს სატრანსპორტო საწარმოთა გიგანტი, მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირმშო—ლოკომოტივსარემონტო ქარხანა, რომელიც მალე სრული სიმძლავრით ამუშავდება და მოქმედ საწარმოთა წყებაში ჩადგება.

ცხადია, ქარხანა ამთავითვე მთელი სიმძლავრით ვერ იმუშავებს. საამისოდ ბევრი რამეა საჭირო. უპირველეს ყოვლისა საჭიროა დრო, რომ კვალიფიციური მუშათა კადრები მომზადდეს, ყველა რთული და წვრილმანი დანადგარი საბოლოოდ გაიმართოს, ათვისებულ იქნას. ქარხანაში მრავალმა ათასმა კაცმა უნდა იმუშაოს. მათთვის საჭიროა ბინები, საჭიროა წყალსადენი, აბანო. გასართობი დაწესებულებანი. კულტურული დასვენების კერის შექმნა. ქარხნის მახლობლად ახლა მუშათა მთელი ქალაქი შენდება. მრავალსართულიანი, მოხდენილი არქიტექტურის საცხოვრებელ სახლთა კვარტალები, ხეივნები და შადრევნიანი ბაღები დაამშვენებენ დედაქალაქის გარეუბანს.

საქართველოში რკინიგზის ტრანსპორტი ძირითადად უკვე გადასულია წევის გაუმჯობესებულ მეთოდებზე. მძიმე, სუსტმა და ზანტმა ორთქლმავლებმა ბევრ მაგისტრალზე ადგილი დაუთმეს ელექტრომავლებს, თბომავლებს. რაც დრო გადის, სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვილობა უმჯობესდება, ამას კი აუცილებლად სჭირდება ტექნიკური ბაზა, ინდუსტრიული საყრდენი. ამ მდგომარეობამ შექმნა თბილისში ლოკომოტივსარემონტო დიდი ქარხნის აგების საჭიროება. თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რომ ეს ქარხანა ტექნიკური აღჭურვილობით სრულყოფილი და ისეთი სიმძლავრის ყოფილიყო, რომ მას მომსახურება გაეწია არა მარტო ამიერკავკასიის რკინიგზისათვის, რომელიც ტექნიკური აღჭურვილობით ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას საბჭოთა კავშირის რკინიგზებს შორის, არამედ მეზობელი აზერბაიჯანის, ორჯონიკიძის, ჩრდილო კავკასიის და შორეული ყარაგანდის რკინიგზებისათვისაც.

ომის ხმაური ჯერ კიდევ არ იყო მინელებული, როდესაც ამ ქარხანას საძირკველი ჩაუყარეს. ახლა ქარხნის მთავარ კორპუსში მემონტაჟეებს აქვთ გაჩაღებული მუშაობა. დაზგათა მწკრივებს ახალი წყებები ემატება. უახლესი ტექნიკური მოწყობილობის დადგმა სწრაფად მიმდინარეობს, თუმცა მშენებლებიც არ გასულან ჯერ საამქროებიდან და მემონტაჟეების პარალელურად განაგრძობენ მუშაობას.

უზარმაზარ საქარხნო კორპუსებში გამაყრუებელი ხმაურია. მჭედლების უროს ცემა, ხერხის შხუილი, შალაშინის სტვენა, ლითონშემდუღებელი აპარატის შიშინი, ტრაქტორის გუგუნი, ამწე მექანიზმების ხრიალი უჩვეულო ხმაურით ავსებენ საამქროებს. მემონტაჟეებსა და მშენებლებს სოციალისტური შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული ახალი შრომითი მიღწევებისათვის.

ჯერჯერობით შეჯიბრებაში მემონტაჟეები უსწრებენ. მაგრამ მშენებელთა ხელმძღვანელები (მშენებლობის უფროსი ვ. ტაგანაშვილი, მთავარი ინჟინერი ს. ულუხანოვი) იმედოვნებენ, რომ მემონტაჟეებს ჩქარა ისინიც გაუსწორებენ მხარს.

მშენებლებს წელს დიდი ამოცანები აქვთ დასახული: მათ მემონტაჟეებისათვის უნდა ჩაებარებინათ მთელი რიგი საამქროები, დაზგებისა და დანადგარების სამონტაჟო ადგილები იმ ვარაუდით, რომ სულ მოკლე დროში ეს საამქროები ამუშავდნენ. ეს ვალდებულება მათ ნაწილობრივ უკვე შეასრულეს. წლის დასასრულამდე უნდა ამუშავდეს სამჭედლო, სამსხმელო, სამოდელო, საინსტრუმენტო და საქვაბე საამქროები, აგრეთვე ელექტროქვესადგური, მჟავბადის სადგური და ლოკომოტივთა კომბინატის ერთი ნაწილი.

12 ნოემბერს ლოკომოტივთა კომბინატის რამდენიმე მალი უკვე ჩადგა მოქმედ საწარმოთა წყებაში. კომბინატის პირველი მალის დიდ თაღებს ქვეშ ამ დღეს მძიმედ შეაგორეს კაპიტალურად გადასაკეთებელი პირველი ელექტრომავალი. სტახანოველთა საუკეთესო ბრიგადები შეუდგნენ მუშაობას ელმავლის გადასაკეთებლად. საუკეთესოდ მუშაობენ და საქარხნო მარკის პრესტიჟისათვის თავდადებით იბრძვიან ვ. პაპინაშვილის, ვ. შაყულაშვილის და მ. შუანდერის ბრიგადები. ქარხნის ნაწილობრივი ამუშავებისა და მათთვის აღმოჩენილი დიდი ნდობის აღსანიშნავად ბრიგადებმა იკისრეს ეს პირველი ელექტრომავალი ერთ თვეში კაპიტალურად შეკეთებული დაუბრუნონ რკინიგზას.

მემონტაჟეები ამჟამად დგამენ უახლესი კონსტრუქციის რთულ დაზგებს, სხვადასხვა მოწყობილობას, მრავალტონიან ხიდისებრ ამწეებს, აწყობენ ელექტროგაყვანილობას, რამაც უნდა აამოძრაოს ეს აუარებელი დადგმულობანი. მშენებლები მემონტაჟეებისათვის ამზადებენ დაზგათა ბეტონის ბუდეებს, აგებენ იატაკს, გაჰყავთ ლიანდაგები.

მემონტაჟეთა შორის წარმატებით მუშაობენ ის ბრიგადები, რომელთაც ი. გრიგოლაშვილი, ი. ცელაშვილი და ვ. რუდენკო ხელმძღვანელობენ. ეს ახალგაზრდა ბრიგადირები და მათი ბრიგადების წევრები, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც სახელოსნო სასწავლებელთა კედლები დასტოვეს, დამოუკიდებლად მუშაობაში შესანიშნავ უნარსა და მოსაზრებულობას იჩენენ. ხელმძღვანელობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სახელოსნო სასწავლებელში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდას მალე დაავიწყდება, თუ ახალ სამუშაო ადგილზე გულშემატკივარი ხელმძღვანელები არ დახვდნენ.

ელექტრომავლის ბორბლების დამამზადებელი დაზგების დადგმა მიანდეს აქ სახელოსნო სასწავლებელში კურსდამთავრებულთაგან შემდგარ ბრიგადას. ეს დაზგები ქარხნის ტერიტორიაზე უპასპორტოდ აღმოჩნდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ დაზგის ნაწილები არეული იყო, დეტალები დაუნომრავი, რაც დიდად აძნელებს დაზგის აწყობას. საკმაოა ითქვას, რომ ამ დაზგის ზოგი დეტალი მრავალ ათეულ ტონას, ხოლო მთავარი დეტალი 50 ტონას იწონის. საჭირო იყო ამ დეტალთა მიტანა სამონტაჟო ბუდესთან უმექანიზმოდ, ვინაიდან მექანიზმების გამოყენების საშუალებას დეტალთა გაბარიტი არ იძლეოდა. შემდეგ საჭირო იყო დეტალთა ერთი-მეორეზე მორგება. ეს სიძნელენი ბრიგადამ დასძლია და მონტაჟის ტექნიკაში ერთგვარი გაუმჯობესებაც შეიტანა. ბრიგადამ მოაწყო ლითონის მაგარი შტატივი (სამფეხი), რომლის საშუალებითაც შეძლო ადგილზე მიტანილ მძიმე დეტალთა აწევა და განკუთვნილ ბუდეში მოთავსება. სხვაგან ეს ხდება სპეციალური ამწეების საშუალებით, რაც აქ იმჯერად არ ჰქონდათ.

მეორე ფაქტი: მიიღეს ექვსტონიანი ხიდისებრი ამწე, რომელიც უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე საჭირო იყო. ამწე უნდა დაემოკლებინათ, გაემტკიცებინათ და აეტანათ ორი სართულის სიმაღლეზე დასადგმელად. ახალგაზრდა ზეინკლებმა, შემდუღებლებმა, მღარავებმა და ხარატებმა ენთუზიაზმით მოკიდეს საქმეს ხელი, ამწე რამდენიმე დღეში გაამზადეს და 1 საათსა და 30 წუთში შეძლეს მისი მაღლა ატანა და გამართვა.

ასეთი მიღწევები აქვთ აქ მომუშავე ახალგაზრდა მემონტაჟეებს — სახელოსნო სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს ა. მამულაშვილს, ვ. ტატაროვს, შ. ტერტერაშვილს, ე. სასუნგინს, ე. ჩერვიაკოვს და მრავალ სხვას. ამ ახალგაზრდებმა ეს მიღწევები მოიპოვეს მათი ხელმძღვანელების (ქარხნის უფროსის ა. ჭიპაშვილის, მთავარი ინჟინრის ს. ჩხეიძის, ინჟინრების: ვ. გოცირიძის, ბ. ნანის, ე. გელაშვილის, ნ. სულაშვილის და სხვების) დახმარებით. ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკოსების უნარსა და მონდომებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ქარხანაში დასადგმელად მიღებული 6 მრავალტონიანი ამწედან არც ერთი არ აღმოჩნდა შესაფერისი ზომისა. ამ ამწეების გადაკეთება ქარხანას არსებული ნორმებისა და შეფასებების მიხედვით დიდძალი თანხა უჯდებოდა. ინჟინრებმა ბ. ნანმა და ე. გელაშვილმა დაამუშავეს ამწეების რეკონსტრუქციის პროექტები და ამ პროექტთა მიხედვით მათი გადაკეთება მიანდეს ადგილობრივ კადრებს. სარეკონსტრუქციო სამუშაოთა რაციონალურად მოწყობის შედეგად ამწეების გადაკეთებაში ქარხანამ 180.000 მანეთი დაზოგა.

ახლა ქარხნის ხელმძღვანელები ემზადებიან იმისათვის, რომ მოკლე დროში მოქმედ საამქროთა წყებაში ჩააყენონ საინსტრუმენტო, სამჭედლო, სამოდელო, ლითონსამსხმელო საამქროები და მთელი რიგი განყოფილებანი.

* * *

ზოგ საამქროში უკვე ახმაურდნენ ახალი დაზგები, ამოძრავდნენ ხიდისებრი ამწეები. მალე სხვა საამქროებშიც ამოქმედდებიან მექანიზმები, აგუგუნდებიან გოლიათური დანადგარები, ცეცხლი გაღვივდება ღუმელებში, წამოვა ადუღებული ლითონი და მაღლა, ცის კამარაში აიჭრება საქართველოს ინდუსტრიული სიამაყის ახალი ნიშანსვეტი...

... ქარხნის მთავარი ჭიშკრიდან მსუბუქად გამოსრიალდება გაკოპწიავებული მძლავრი ელექტრომავალი, დაიჭექებს მისი საყვირის ხმა და ქვეყანას ამცნობს ახალი საწარმოს, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალი ოჯახის მიერ ახალი სამეურნეო წლისათვის მოპოვებულ პირველ გამარჯვებას.

ამის მოლოდინში არიან მაღალ გალავანს შიგნით მყუდრო ადგილას, სარემონტოდ რიგში ჩამოყენებული ელექტრომავლები.

დ. ლომთაძე

საბჭოთა მშენებლობა

დეპუტატთა თაოსნობით

რაიონული საბჭოს დეპუტატი არ. ბესტაევი ყოველდღიურად ხვდება თავის ამომრჩევლებს. ეს შეხვედრაც ჩვეულებრივი იყო. საუბარი მშობლიური სოფლის კეთილდღეობის საკითხებს ეხებოდა. ერთ-ერთმა ამომრჩეველმა საუბარი ჩამოაგდო გორელ კოლმეურნეთა მიმართვაზე საკოლმეურნეო კლუბების მშენებლობის შესახებ. კოლმეურნემ თქვა:

— რაიონში ჩვენზე უფრო პატარა სოფლებსაც კი აქვთ კლუბები. ჩვენს სოფელსაც რომ ჰქონდეს კულტურის ეს კერა, განა ყველას არა გვსურს? ჩვენ მოგვეპოვება შესაძლებლობანი — განვახორციელოთ ეს კეთილშობილური საქმე.

სოფელ ვანათის ამომრჩეველთა საქმიან წინადადებას ყურადღება მიაქცია დეპუტატმა არ. ბესტაევმა. ეს საკითხი მან სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომში დააყენა. რაისაბჭოს აღმასკომმა მოიწონა ამომრჩევლებისა და დეპუტატის აზრი.

მალე პრაქტიკული მუშაობა გაჩაღდა. კოლმეურნეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასოფლო კლუბის აგებაში. მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მთავარი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. სოფელ ვანათს ჩქარა შეემატება კულტურის ახალი კერა—სასოფლო კლუბი.

რაისაბჭოს აღმასკომში განუწყვეტლივ მოდიან ადამიანები, ფოსტას მოაქვს უამრავი წერილი.

ახალმშენებლობათა წარმატებით დასამთავრებლად რაისაბჭოს აღმასკომს დახმარებას სთხოვენ სოფელ არცევის ლენინის სახელობის, სოფელ ზუგათიკაუს, სოფელ ქვემო მონასტრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობები. მათ დაუყოვნებლივ უნდა გაეცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

წარმატებანი, რომლებსაც სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომი აღწევს, ძირითადად დეპუტატებთან მტკიცე კავშირის, მათი აქტიური დახმარების შედეგია. აღმასკომმა მხარი დაუჭირა დეპუტატ ამხ. ქრისტესიაშვილის საქმიან წამოწყებას, რომელიც მიმართულია ოლქის ერთ-ერთი მოწინავე სოფლის ერედვის კეთილმოწყობისაკენ. დეპუტატის ინიციატივას მხურვალედ ეხმაურებიან ამომრჩევლებიც. ერედველებმა სანიმუშოდ კეთილმოწყობილი გახადეს თავიანთი სოფელი. კოლმეურნეთა ახლად აშენებულ სახლებში ილიჩის ნათურები ციმციმებენ, სოფელს აქვს რადიოკვანძი, კლუბი, სამკითხველო. გაფართოვდა ქუჩები, სანაპიროებზე დაირგო ასობით ძირი ხე.

რაიონული საბჭოს დეპუტატია ქემერტის სასოფლო საბჭოს აგრონომი ოლია ოთინაშვილი. იგი მუყაითად მუშაობს, რომ საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში მტკიცედ დანერგოს მოწინავე აგროტექნიკა, ამრავლოს უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები. მაგრამ დეპუტატი ოლია ოთინაშვილი მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით როდი კმაყოფილდება. ჭალისუბნის რვაწლიან სკოლაში ბინის სივიწროვის გამო მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები არ იყო. დეპუტატმა დარაზმა სოფლის აქტივი სკოლის გასაფართოებლად. საქმე წარმატებით დაგვირგვინდა, სკოლას დამატებით მიაშენეს ერთი საკლასო ოთახი.

რაისაბჭოს აღმასკომი თავისი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად თვლის სასოფლო საბჭოებისადმი სისტემატურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას. რაიონული საბჭოს სესიაზე განხილულ იქნა საკითხი სათიხარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ვალიევი. როგორც წინასწარი შემოწმებიდან და მოხსენებიდან გამოირკვა, სასოფლო საბჭოს თავის მუშაობაში ერთგვარ წარმატებებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს. განსაკუთრებით აღინიშნა მუდმივი კომისიების სუსტი მუშაობა. რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. კ. კულუმბეგოვი სესიის შემდეგ რამდენიმე დღით ჩავიდა სათიხარში, სასოფლო საბჭოს აღმასკომს ადგილზევე გაუწია პრაქტიკული დახმარება. ამის შემდეგაც არ ანელებს ამხ. კ. კულუმბეგოვი ამ საბჭოსადმი დახმარებას.

რაისაბჭოს აღმასკომმა „კომუნისტის" მიმდინარე წლის 27 ივნისის ნომერში საბჭოთა აქტივის დასახმარებლად გამოქვეყნებული თელავის რაიონის კურდღელაურის სასოფლო საბჭოს სამუშაო გეგმის მიხედვით სანიმუშო სამუშაო გეგმები შეადგენინა ქემერტის (თავმჯდომარე ი. კახნიაშვილი) და ქურთის (თავმჯდომარე ნ. ხაჰაპურიძე) სასოფლო საბჭოების აღმასკომებს. ახალი გეგმების მიხედვით მუშაობით სასოფლო საბჭოები უკეთეს წარმატებებს აღწევენ. კურდღელაურელთა მაგალითის მიხედვით გეგმები შედგა და ამ მიმართულებით პრაქტიკული მუშაობა მიმდინარეობს რაიონის მთელ რიგ სხვა სასოფლო საბჭოებშიც.

სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისათვის იმართება სემინარები. საბჭოთა მშენებლობის ცალკეულ საკითხებზე მოხსენებით გამოდიან რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობაში უგულებელყოფილია მოწინავე სასოფლო საბჭოების გამოცდილების განზოგადების პრაქტიკა. ამ ნაკლის აღმოფხვრა რაისაბჭოს აღმასკომის გადაუდებელი საქმეა.

სტალინირის რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობები (მამისაანთ უბანი, საყვირეთი, ტბეთი და სხვ.), რომლებიც წლების განმავლობაში თავს ვერ აღწევენ ჩამორჩენას. რაიონულ საბჭოს მეტი მოეთხოვება ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის მხრივ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის განვითარების საქმეს. ამ მხრივ რაიონში დღემდე არასახარბიელო მდგომარეობაა.

სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომმა მომავალში კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს მუშაობა, განამტკიცოს კავშირი დეპუტატებთან, შემოიკრიბოს ფართო აქტივი და მათზე დაყრდნობით ახალი წარმატებანი მოიპოვოს მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ფეხბურთელთა ახალი კადრების სკოლა

ქალაქ თბილისის ვაქთა 35-ე საშუალო სკოლა 1945 წელს შეიქმნა. სკოლის წინაშე სერიოზული ამოცანაა დასახული: აღვზარდოთ მცოდნე, ფიზიკურად გამძლე, კულტურული, თავაზიანი, საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მუშაკები, ფეხბურთის მომავალი ოსტატები, რომლებიც ღირსეულად დაიმსახურებენ მაყურებლის პატივისცემას და სიყვარულს. სკოლის ადმინისტრაცია, პედკოლექტივი, მწვრთნელი მასწავლებლობა, კომკავშირულ-პიონერული ორგანიზაცია, მშობელთა კომიტეტი ჩვენს წინაშე მდგომ ამ რთულ ამოცანათა გადაჭრას პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან. ამის შედეგად სკოლაში 1946-47 სასწავლო წელთან შედარებით სერიოზულად გარდაიქმნა სასწავლო, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა. 1947-48 სასწავლო წელს აკადემიური წარმატების მხრივ ჩვენმა სკოლამ სტალინის რაიონის სკოლებში პირველი ადგილი დაიკავა. სკოლაში საგრძნობლად განმტკიცდა დისციპლინა. იშვიათი შემთხვევაა გაკვეთილზე დაგვიანება, ადრე წასვლა, უმიზეზოდ გაცდენა.

სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობა საშუალო განათლებასთან ერთად ეძლევა ფიზიკური განვითარების საშუალება, განსაკუთრებით ფეხბურთის დარგში. სკოლის სასწავლო პროგრამები და გეგმები იგივეა, რაც საქართველოს სს რესპუბლიკის სხვა სკოლებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფეხბურთი სხვა სკოლებში ისწავლება სკოლის გარეშე მუშაობის სახით, ჩვენს სკოლას კი მისთვის საწვრთნელ - სამეცადინეოდ დათმობილი აქვს კვირაში 6 საათი. აქ ორგანიზებულად ხდება მოსწავლეთა ფიზიკური დატვირთვა საექიმო და მწვრთნელ მასწავლებელთა მეთვალყურეობით.

ჩვენი სკოლის მუშაობის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მოსწავლეებს ფეხბურთის სწავლება ხელს არ უშლის სწავლაში და არც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ქცევაზე, პირიქით, ხელს უწყობს მათ თავაზიანობას და აკადემიური წარმატების ამაღლებას.

სკოლაში შემოღებულია ახეთი წესი: თუ მოსწავლემ რომელიმე სასწავლო დისციპლინაში მიიღო ნიშანი „2", იგი თამაშსა და წვრთნაზე არ დაიშვება, სანამ არ გამოასწორებს თავის ნიშანს. დისციპლინის დარღვევის, გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის, დაგვიანების, გაკვეთილიდან ადრე წასვლის, საშინაო დავალების შეუსრულებლობის, მასწავლებელთან უადგილო შელაპარაკების შემთხვევაში საკითხს იხილავს სკოლაში არსებული მწვრთნელთა საბჭო, დისციპლინარული კომისია, და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით მოსწავლე არ დაიშვება გარკვეული ხნით წვრთნის გაკვეთილსა და თამაშზე.

ასეთმა ღონისძიებამ ფეხბურთის მოყვარულ მოსწავლეში აღძრა ინტერესი, რათა ისწავლოს ბეჯითად და წესიერად, არ დაჰკარგოს მისთვის საყვარელ საწვრთნელ გაკვეთილზე დასწრების უფლება.

სკოლაში ზავშვი გონებრივ აღზრდასთან ერთად ფიზიკურ აღზრდასაც იღებს. ამ მხრივ ჩვენს სკოლას სათანადო წარმატება აქვს. კვლევითი მუშაობა, რასაც აწარმოებს საქართველოს სსრ ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დოცენტი კუნჭულია და სკოლის ექიმი ირ. როსტომაშვილი, გვიჩვენებს, რომ ფეხბურთი ადამიანს სიცოცხლის ყველაზე უფრო რთულ ხანაში — სქესობრივი მომწიფების ხანაში, არათუ ხელს არ უშლის ორგანიზმის კანონზომიერ ზრდაში, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მას.

ფეხბურთი ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ გამოწრთობას. აი რა თქვა ბურთაობაზე აკაკი წერეთელმა: „ქართველების ოდენი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს, მაგალითად, ბურთაობა, რომლის დროსაც თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს".

ჩვენი სკოლის ახალგაზრდობას შექმნილი აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ ისწავლოს წარმატებით და დაეუფლოს მისთვის საყვარელი ფეხბურთის თეორიასა და ტაქტიკას.

სკოლაში ნორმალური მეცადინეობისათვის შესანიშნავი პირობებია შექმნილი. სკოლას აქვს საუკეთესო სამსართულიანი მზიანი შენობა, მოწყობილია სასწავლო კაბინეტები: ქიმიის, ფიზიკის, ფიზკულტურის, ჩვენს მოსწავლეებს დათმობილი აქვთ ლენინის სახელობის სტადიონი, სასპორტო დარბაზი და სხვ. რაიონებიდან ჩამოსულ ნორჩ ფეხბურთელთათვის სკოლასთან არსებობს 30-ადგილიანი ინტერნატი. ინტერნატში მცხოვრები მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით. სკოლის ყველა მოსწავლე იღებს ერთჯერად კვებას წვრთნაზე, ფიზიკური დატვირთვის ანაზღაურების მიზნით.

სკოლას ყოველწლიურად 45 დღით საბანაკო შეკრებაზე გაყავს მოსწავლეები დაბა ბაკურიანში — ფიზიკური გაჯანსაღებისა და ფიზიკური მომზადების მიზნით.

სკოლის სპორტული მაჩვენებლები გაიზარდა, რამაც მას სახელი გაუთქვა საბჭოთა კავშირში. არაერთხელ მოთავსებულა სკოლის მუშაობის შესახებ წერილები გაზეთ „საბჭოთა სპორტში", ლენინგრადის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებში. სკოლას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების ფეხბურთელებისაგან მრავალი კორესპონდენცია მოსდის. გვთხოვენ წერილებს სკოლის მუშაობის გამოცდილებაზე, სპორტულ მაჩვენებლებზე. 1946 წელს სკოლის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ქალაქის პირველობა მოიპოვეს, 1947 წელს მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს თასისა და საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში. 1948 წლის ფეხბურთის სეზონში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობაში ჩაირიცხნენ სკოლის კურსდამთავრებულები ზ. ბარათაშვილი, ვ. ჯირია, ბ. ტაბიძე, ნ. მიხაილოვი, ა. კილაძე, ო. ალავიძე, ვ. გორდაძე, ჩ. ვარდიაშვილი.

1948 წლის ქალაქის პირველობის გუნდური გათამაშების 1 ჯგუფში ჩვენმა სკოლამ სამი პირველი ადგილი მოიპოვა. ეს იმის შედეგია, რომ სკოლის სასპორტო საგნების მასწავლებლები ჯ. ჯეჯელავა, ვ. შავდია, ო. ჟორდანია, შ. მერკვილაძე მთელი მონდომებით მუშაობენ. სკოლის ფეხბურთის მეთოდურ კომისიას მწვრთნელი-მასწავლებელი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ი. ჯეჯელავა ხელმძღვანელობს. მან შესძლო სკოლაში ფეხბურთის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

თბილისის ვაქთა 35-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლეები მთელი მონდომებით იბრძოლებენ, რათა წარმატებით გადაჭრან მათს წინაშე მდგომი ამოცანები.

დიმ. შენგელაია
თბილისის ვაქთა 35-ე საშუალო სკოლის დირექტორი

საერთაშორისო თემაზე

დემოკრატიული რესპუბლიკა ვიეტ-ნამი

ინდო-ჩინეთი საფრანგეთის უმდიდრესი და ყველაზე დიდი კოლონიაა სამხრეთ აზიაში. მისი დაპყრობა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და მხოლოდ 1907 წელს დამთავრდა. თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა ინდო-ჩინეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბრძოლა ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. საფრანგეთის იმპერიალისტებს ინდო-ჩინეთში აინტერესებთ არა მარტო მისი წიაღისეული, ბუნებრივი სიმდიდრე — ხე-ტყე, ქვანახშირი(?) ლა, ოქრო, თუთია, რკინის მადანი, კაუჩუკი და სხვ., არამედ შესანიშნავი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც წყნარი და ინდოეთის ოკეანეთა მიჯნაზე.

საფრანგეთის მიერ ინდო-ჩინეთის კოლონიზაციის შემდეგ ქვეყნის ძველი სახელწოდება—„ვიეტ-ნამი" გაქრა. ინდო-ჩინეთი დანაწილებულ იქნა ხუთ ცალკე პროვინციად (ლაოსი, ანამი, ტონკინი, კამბოჯა, კოხინხინა).

მიუხედავად მკაცრი კოლონიური რეჟიმისა, ინდო-ჩინეთის ხალხები განაგრძობდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისა და ნაციონალური გაერთიანებისათვის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებიც თავისუფლებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ლოზუნგით გამოდიოდნენ. 1930 წელს შეიქმნა ინდო-ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ინდო-ჩინეთის ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლას.

თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის სახალხო მოძრაობა კიდევ უფრო გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ინდო-ჩინეთი საომარი მოქმედების ცენტრი გახდა წყნარ ოკეანეში.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ინდო-ჩინეთის ხალხებმა ინდო-ჩინეთის დამოუკიდებელი ლიგის (ვიეტ-მინი) ხელმძღვანელობით დაამხეს მარიონეტული მთავრობა იმპერატორ ბაო-დაის მეთაურობით და იმავე წლის 2 სექტემბერს გამოაცხადეს დემოკრატიული რესპუბლიკა. დროებით მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვიეტ-მინის ხელმძღვანელი — ხო ში-მინი. ანამის უძველეს დედაქალაქში შეკრებილმა დროებითმა მთავრობამ აღადგინა ქვეყნის ძველი ისტორიული სახელწოდება „ვიეტ-ნამი", დასახა რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნის პროგრამა, მიიღო დეკლარაცია, რომელშიც მოცემული იყო ვიეტ-ნამის საბრძოლო დევიზი: „დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ბედნიერება".

საფრანგეთის მთავრობამ არ ცნო ვიეტ-ნამის რესპუბლიკა, და თავისი კოლონიური ბატონობის აღდგენის მიზნით იმავე წლის 23 სექტემბერს საომარი მოქმედება დაიწყო ვიეტ-ნამის წინააღმდეგ. მაგრამ საფრანგეთის ხელისუფლებმა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწიეს, ამიტომ დიპლომატიურ ხრიკებს მიმართეს. 1946 წლის 6 მარტს დროებითი შეთანხმების ძალით საფრანგეთმა ცნო ვიეტ-ნამის რესპუბლიკა (ანამისა და ტონკინის პროვინციების შემადგენლობით), რომელსაც ეყოლებოდა საკუთარი პარლამენტი, მთავრობა, არმია და ექნებოდა ბიუჯეტი. სამ დანარჩენ პროვინციას — ლაოსს, კამბოჯასა და კოხინხინას რეფერენდუმის გზით უნდა გადაეწყვიტათ ვიეტ-ნამთან შეთანხმების საკითხი. იმავე წლის 14 სექტემბერს მიღწეულ იქნა მეორე შეთანხმება პარიზში, რომლის თანახმად საფრანგეთი ცნობდა ვიეტ-ნამის თავისუფლებას (მხოლოდ მეტროპოლიის უზენაესი ზედამხედველის მეთვალყურეობით) და მოვალე იყო შეეწყვიტა საომარი მოქმედება. მიუხედავად ამისა, მალე ფრანგებმა ორივე შეთანხმება დაარღვიეს და კვლავ განაახლეს ბრძოლა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

აგრესიულმა ომმა, რომელიც სამი წელია გრძელდება, საფრანგეთის იმპერიალისტებს ვერ მოუტანა სასურველი შედეგები. 200 ათასი ოფიცრისა და ჯარისკაცისაგან შემდგარმა საფრანგეთის არმიამ, რომელიც აღჭურვილია უძლიერესი ტექნიკით და რომელზეც ყოველთვიურად 4 მილიარდი ფრანკი იხარჯება, წარმატებას ვერ მიაღწია. ვიეტ-ნამის ასიათასიანმა არმიამ და მრავალრიცხოვანმა პარტიზანულმა რაზმებმა ფრანგ დამპყრობლებს დაუპირისპირეს უმაგალითო გმირობა და თავდადება სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ახლად შექმნილი არმია ინდო-ჩინეთის ხალხების პირმშოა და იგი დიდ სხარდაჭერას პოულობს მოსახლეობაში. ამრიგად, ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ იბრძვის არა მარტო ვიეტ-ნამის არმია, არამედ მთელი ხალხი.

ვერც იარაღმა, ვერც დიპლომატიურმა ხრიკებმა ვერ მოუტანეს გამარჯვება ფრანგებს, რომელთა ჯარსაც, როგორც ცნობილია, იარაღს აწვდიან და აფინანსებენ ამერიკის შეერთებული შტატები.

ვიეტ-ნამის რესპუბლიკის ფართობი (ანამითა და ტონკინით) 263 ათას კვადრატულ კილომეტრს აღწევს, რაც მთელი ინდო-ჩინეთის ფართობის ერთ მესამედს (35%) შეადგენს, მოსახლეობა კი 16 მილიონს — მთელი კოლონიის მოსახლეობის შვიდ მეათედს.

1946 წლის იანვარში, ინგლის-საფრანგეთის ოკუპანტებთან ბრძოლის მკაცრ პირობებში ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 82 პროცენტი და მიმდინარეობდა ლოზუნგით: „თავისუფლება ან სიკვდილი". მარტში შეიქმნა ვიეტ-ნამის მთავრობა, რომელმაც დასახა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნის პროგრამა.

1946 წლის 28 აგვისტოს ქ. ხანოიში (ტონკინი) გაიხსნა ვიეტ-ნამის ეროვნული კრების მეორე სესია, რომელმაც მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია და ვიეტ-ნამი დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა.

კონსტიტუციის ძალით ვიეტ-ნამის ყველა მოქალაქეს ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში თანასწორი უფლება აქვს, მიუხედავად მათი სარწმუნოებრივი, რასობრივი, სქესობრივი და სოციალური მდგომარეობისა.

დემოკრატიულმა მთავრობამ უდიდესი სამუშაოები შეასრულა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობისათვის. ომის გამო მიწათმოქმედება დიდად დაქვეითდა, ამას მოჰყვა წყალდიდობა, რამაც 800 ათასი ჰექტარი ნათესი, მათ შორის 306 ათასი ჰექტარი ბრინჯის ნათესი, გაანადგურა. მაგრამ 1947 წელს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა. ბრინჯის ნათესის ფართობი 1,5-ჯერ გადიდდა, სიმინდის — 5-ჯერ, კარტოფილისა — 3-ჯერ. შიმშილი დაძლეულ იქნა, რესპუბლიკამ წარმატებით გადაწყვიტა სურსათის პრობლემა.

რესპუბლიკური მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს სარწყავი სისტემის გაუმჯობესებას. აღდგენილ იქნა ომის პერიოდში დანგრეული და დაზიანებული 75 ხიდი და ორი ათასზე მეტი კილომეტრი სიგრძის რკინიგზა, დამატებით გაიყვანეს 2.560 კილომეტრი სატელეფონო ხაზი და სხვ. დიდი მიღწევები მოიპოვა რესპუბლიკამ განათლების დარგშიც. მარტო 1946-47 სასწავლო წელს გაიხსნა 60 ათასი სკოლა, სადაც 2,5 მილიონი მოსწავლე სწავლობს. რეორგანიზებულია უნივერსიტეტი, შეიქმნა ინტელიგენციის საკუთარი კადრი.

წინასწარ სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიეტ-ნამის მთავრობამ მიიღო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის სამწლიანი (1948-1950 წლები) გეგმა, რომლის განხორციელება მძლავრ ეკონომიურ საფუძველს შეუქმნის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად ძლიერდება და მტკიცდება დემოკრატიული არმია, რომელიც წარმატებით ებრძვის ფრანგ კოლონიზატორებს. ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ ვიეტ-ნამის ხალხის თავდადებული ბრძოლა აღტაცებას იწვევს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებში, თავისუფლებისმოყვარე ხალხებში. ვიეტ-ნამის ხალხის საბრძოლო სულისკვეთება კარგად გამოხატა პრეზიდენტმა ხო ში-მინმა, რომელმაც განაცხადა: „ვიეტ-ნამის ხალხი, თუ საჭირო იქნება, იბრძოლებს ხუთ, ათ და ოც წელიწადს, რათა თავისუფლება მოიპოვოს".

გ. ზარდალიშვილი
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ოთარ ეგაძე

„ლ ა უ რ ე ნ ს ი ა"

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი დადგმა

როცა ფარდა დაეშვა, მაყურებლები სადირიჟორო პულტთან მიზღვავდნენ, რომ აღფრთოვანებული ტაშით კიდევ ერთხელ გამოეწვიათ ბალეტ „ლაურენსიას" შემოქმედნი — ვახტანგ ჭაბუკიანი და ვერა წიგნაძე, მხატვარი სოლომონ ვირსალაძე და დირიჟორი დიდიმ მირცხულავა, სოლისტები და კორდებალეტი.

ჩვენს თეატრში დადგმულ საბალეტო სპექტაკლს უწინდებურად აღარ ვუყურებთ. დღეს აღარ შეიძლება დაკმაყოფილება ისეთი ბალეტით, რომელშიც თემა მხოლოდ მიზეზია, ხოლო საცეკვაო დივერტისმენტი — მიზანი. მას შემდეგ, რაც ქართულ ქორეოგრაფიულ თეატრს თავისი მოთავე გაუჩნდა, მაყურებლის გემოვნებაც გაიზარდა. ჩვენ ვეღარ მოვითმენთ ცეკვით გაუწაფველობას და ქორეოგრაფიული რეჟისურის მიამიტ უსუსურობას. ეს იმით აიხსნება, რომ ქართულ ხელოვნებაში ერთდროულად აღმოჩნდა ორი ნიჭი: ვახტანგ ჭაბუკიანი—მოცეკვავე და ვახტანგ ჭაბუკიანი—ქორეოგრაფი. ორივე საქმე ამ ერთმა დიდმა ხელოვანმა ითავა და ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ „მივიღოთ და შევიტკბოთ".

ვახტანგ ჭაბუკიანის დამსახურება უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ მან შესძლო კლასიკური, ისტორიული პიესის გააქტუალება. იოლი როდია ხუთასი წლის წინათ დაწერილ პიესაში დოლორეს იბარურის ხალხის აზრისა და საქმის ჩაქსოვა.

„ლაურენსიის" დამდგმელმა ისტორიულ მხატვრულ სახეებს ახალი შინაარსი მისცა და ამიტომ არის, რომ საბჭოთა სცენაზე ლოპე დე ვეგას სიტყვები ისე აჟღერდნენ, როგორც მაქსიმ გორკის მოწოდება: „როცა მტერი არ გნებდება, იგი უნდა მოსპო".

ძნელი იყო ამის მიღწევა ლიტერატურული ტექსტის მოუშველიებლად, უსიტყვოდ, წმინდა ქორეოგრაფიული ენით. როგორც ჩანს, ჭაბუკიანმა გამონახა სხვა ენა, ამ ენით მოიტანა ჩვენამდე ლოპე დე ვეგას გმირების აზრები და ესპანეთის რესპუბლიკელთა სულისკვეთებაც. ეს არის ცეკვის მაცოცხლებელი ენა. ჭაბუკიანმა გამონახა ცეკვის მაგიური ენა, რომელზეც ასე გაწაფულად ლაპარაკობს იგი. „ლაურენსია" იმით გამოირჩევა სხვა კლასიკური ბალეტებისაგან, რომ აქ ცეკვა ჩვეულებრივ თხრობით ენას ცვლის.

„ლაურენსია" წმინდა პროზაული თხრობით იწყება. შრომამოთავებული სოფლელები სახლში ბრუნდებიან, ტანისამოსს იცვლიან და მოედანზე გამოდიან, რომ ერთიმეორე ნახონ, აზრს საზრდო მისცენ და ტანს სილაღე. მალე გამოჩნდებიან მოხდენილი ფრონდოსო და სათნოიანი ლაურენსია. ფრონდოსო ეტრფის მას, ლაურენსია კი მხოლოდ კეკლუცობს. პირველი მოქმედების ეს მიმოდრამული დიალოგი თითქოს ჩვეულებრივ პროზაულ თხრობას მოგვაგონებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. ჭაბუკიანის მიმოდრამული გასაუბრება აგებულია საცეკვაო რიტმზე, ჭაბუკიანის ყოველი კუნთი შინაგანი ძალით ცეკვავს, იგი ცეკვავს მხრებით, ცეკვავს მკლავებით, ცეკვავს მკერდით, დაჭიმული კისრით, აზრიანი თვალებით და სხარტი თითებით. მაყურებელი როდი ბრუნდება გაუმართლებელი უაზრო ცეკვებით, მისი თვალი ნელნელა ეჩვევა საცეკვაო მოედანს, მის სიგრძე-სიგანეს. მას ბუნებრივად ებადება სურვილი, რომ გმირის შინაგანი ცეკვითი თხრობიდან მალე ცეკვის დიდ ფორმამდე გადავიდეს, ქორეოგრაფიულ კოდამდე. ჭაბუკიანის ფრონდოსოს შეუძლია იცეკვოს მაშინაც კი, როცა იგი დუმს. მისი შინაგანი ცეკვა ისე დიდი ძალისაა, რომ მაყურებელი მუდამ მასთან ერთად სწრაფვასა და ქორეოგრაფიულ განწყობილებაშია. როცა ფრონდოსო ლაურენსიას გულგრილობას იგრძნობს, იგი აღგზნებული მიმართავს ცეკვის მომხიბვლელ ძალას. მაყურებელს სჯერა ფრონდოსოს სამიჯნურო ცეკვის წარმატებისა. იწყება გაიზრებული ადაჟიო. ლაურენსია უკვე გატაცებულია, მაგრამ არა ფრონდოსოს გრძნობებით, არამედ თავისივე საკუთარი ცეკვით. ეს ცეკვა მისი პოეტური ბუნების გრძნობიარე სიმღერაა და როცა მას მოათავებს, ისევე მოულოდნელად გაუსხლტება ფრონდოსოს, როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ.

ლაურენსია გაიქცა და დარცხვენილი ფრონდოსოც იქაურობას გაეცალა. მაგრამ სცენაზე შემოიჭრება მეორე გმირი—სოფლის სათაყვანო ხუმარა, კეთილი მენგო. მენგო უკრავს მდორე მელოდიას და ოცნებას მიცემული მისი ტოლი გოგონებიც ისეთსავე მდორე და ნებიერ პლასტიკურ რომანსს უვლიან. შემდეგ ვაჟებიც გადავლენ და იწყება გადაბმული ფერადოვანი კოდა, რომელიც საზეიმო განწყობილებით მთავრდება... მაგრამ კი არ მთავრდება,—სამხედრო ბუკის ხმა ხალხს აუწყებს, მრისხანე კომანდორი მობრძანდებაო. სოფლის გოგონები თაიგულებს მიართმევენ კომანდორ გომესს და სწორედ აქ იწყება ლაურენსიას ტრაგედია: იგი ავხორცი ტირანის საწადელი გახდება.

სპექტაკლის ავტორმა მეორე მოქმედებაში ყურადღება ხასინტოს და მენგოს ტრაგიკულ ბედზე გადაიტანა. ამით მან შექმნა ის სოციალური ფონი, რომელზეც უფრო მკაფიოდ გამოჩნდებოდა ლაურენსიას და ფრონდოსოს ურთიერთსიყვარულის ძალა. ჩვენ ყოველთვის გვაღელვებდა ლილი ჩიკვაიძის მიერ ლენინგრადის თეატრის სცენაზე შექმნილი ხასინტოს დრამატული სახე. მით უფრო შიშით ველოდით ახალგაზრდა შემსრულებელ ლეონოვას გამოსვლას ამ როლში, მაგრამ შიში ფუჭი გამოდგა: მან მარჯვედ გამოავლინა როგორც საცეკვაო, ისე დრამატული თხრობის საშუალებანი. ამაში მას უეჭველად ხელს უწყობდა მენგოს შემსრულებელ კამალეტდინოვის გაიზრებული და მოხდენილი ცეკვაც.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ ჭაბუკიანი ბოლომდე ვერ გაჰყვა აზრობრივად გამიზნული სპექტაკლის პრინციპს და მესამე მოქმედება ტრადიციულ ქორეოგრაფიული დივერტისმენტის ყაიდაზე ააგო. აქ ცეკვები ერთი მეორესთან დაკავშირებული არ არის, მომდევნო ქორეოგრაფიული ნომერი არ გამომდინარეობს პირველიდან და მეორე არ განსაზღვრავს შემდგომს. ეს მართალია, მაგრამ არ შეიძლება მოვთხოვოთ ხელოვანს, თუ კი იგი ახლის ძიებაშია, ძველი სრულიად დაივიწყოს. ძველი მემკვიდრეობის ნიადაგიდან სავსებით მოწყვეტა ბალეტს წაართმევდა სანახაობითს ფუნქციას და დაუკარგავდა მას თავის დამახასიათებელ ლამაზ ფორმას. მართლაც და ხომ არ შეიძლება ბალეტისა და სამხატვრო თეატრის გაიგივება?

მესამე მოქმედებაში უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ჭაბუკიანის და წიგნაძის კლასიკური ადაჟიო, მათი სოლო, პირველის ანტრაშე-პირუეტი და მეორის რთული—ფუეტე. ქართული ქორეოგრაფიული სცენის ამ ორი ოსტატის ღირსება იმაშიც არის, რომ ისინი ბრწყინვალედ ფლობენ ტანის პლასტიკის კულტურას და ცეკვას აძლევენ ნათელ აზრს.

დიდი გრძნობების გადმოცემა მხოლოდ სიტყვით შეიძლება, მაგრამ ბევრგან ცეკვა უფრო სჯობს. ზოგჯერ რაც უფრო ძლიერია გრძნობა, მით უფრო ნაკლებ საჭიროა სიტყვის მოშველიება. უნებლიეთ ამონაკვნესი სიტყვა გრძნობათა ენის კულმინაციაა. ენა ხომ უფრო მეტს ვერ იტყვის, ვიდრე ამონაკვნესი, ხოლო რასაც ამონაკვნესით ვერ იტყვით, იმას ტანის მოძრაობა მოირევა. აი ასეთ ენას ფლობენ ჭაბუკიანი და მისი მოწაფე წიგნაძე. ასეთი ენით მეტყველებენ ისინი საქორწილო ადაჟიოში. გავიხსენოთ თუნდაც „ბოშა ქალის" თამარ ჭაბუკიანის და კასტანიეტებით მოცეკვავე ბაუერის გამოსვლა. განა სიტყვით უფრო ზედმიწევნით შეიძლება იმ სიამის შეგრძნობა, რასაც ცეკვა გარგუნებთ? თქმა არ უნდა, რომ დიდი ხელოვნის ტანის მოძრაობით ზოგჯერ უფრო მეტი ითქმის, ვიდრე თუნდაც აღტაცებული ლაპარაკით. თ. ჭაბუკიანისა და მ. ბაუერის ცეკვებშიც ყოველთვის იგრძნობა ქორეოგრაფიული ენის ორიგინალობა, მუსიკალური რიტმი, საკუთარი სული, პიროვნული აქცენტი და კოლორიტი. მათი ცეკვა აღმაფრენით ასხმული სიამოვნების მომგვრელი ლექსის რითმაც არის და მუსიკალური მელოდიაც.

უკანასკნელი მოქმედება ისე განსხვავდება მესამისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ისინი დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ მაინც ერთიმეორეს ავსებენ. შეხედეთ კომანდორის ციხე-დარბაზის გალავანთან ღამით თავმოყრილ ცხვრისწყაროელებს და იგრძნობთ, რომ სადაცაა ამოხეთქს რისხვის ნიაღვარი. ცხადია ამ ტრაგიკულ სიტუაციაში ცეკვა ვეღარ გამოვა დამოუკიდებლივ. იგი აზრის სამოსელში უნდა გაეხვიოს. ამიტომ არის, რომ წიგნაძე თავისი შინაგანი განცდების შესადარ ცეკვის ფორმას იშველიებს. იგი როდი ქარგავს ფაქიზ ქორეოგრაფიულ ქარაგმას, იგი აღარ ფიქრობს ცეკვის მუსიკალურ რითმასა და რიტმზე. იგი ახლა უფრო თეთრი ლექსის მეტრით ტირის, დიახ, იგი ტირის და აბა ამ გრძნობების გამოსაწვევად განა ისევ გამოდგება სალხინებელი ცეკვის ენა?! წიგნაძე არცხვენს თავჩაღუნულ სოფლელებს, რომელთა მორჩილებამაც დაღუპა ხასინტა, შეურაცხყო პასკუალი, დაამცირა ლაურენსია. იგი არცხვენს იმათ, ვინც მანამდე თავდადებას ფიცულობდა. რატომ დუმხართ თქვენ, ესპანეთის ჩაგრულო შვილებო, აიღეთ მახვილი და შეუტიეთ ტირანებს, აიღეთ ცული, ორთითი და კეტი, მოიქნიეთ ცელი, ხელი სტაცეთ დანას და მოკალით ის, ვინც ხვალ ამასვე უმზადებს თქვენს ცოლებს, თქვენს დებს, თქვენს მიჯნურებს...

ლაურენსიას მონოლოგი ისეთი ძლიერი ხორცშესხმული ფსიქოლოგიური სურათია, რომლის ტოლი სხვა არ გვინახავს ბალეტში. ეს არ არის შეურაცხყოფილი სულის პროტესტი—ეს ტირანიის წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლის წყურვილია. წიგნაძე დრამატიული სალებავებით წერს დაუვიწყარ ქორეოგრაფიულ ფრაგმენტს. იგი ქარიშხალივით დაქრის ხეებსა და ხეებს შუა, იგი ამხედრებს გულში ბოლმადაგუბებულ გლეხებს, იგი დაჭრილივით გაჰყივის უსამართლობაზე... და ყოველივე ამას ქორეოგრაფიული ენით აღწევს. სპექტაკლის დამდგმელ ვ. ჭაბუკიანის ქორეოგრაფიული ოსტატობა იმაშია, რომ ამ ტრაგიკული განწყობილების დროს მაყურებელი ვერც კი ამჩნევს ცეკვის „უტაქტობას". ჭაბუკიანმა გამონახა ცეკვის ისეთი თხრობის ფორმა, რომ წიგნაძის მიერ შიგადაშიგ მოშველიებული პა და არაბესკი თვალს როდი ჰჭრის სცენიურ მოქმედებაში გადასახლებულ მაყურებელს. ცეკვა ბუნებრივად ერწყმის მონოლოგის შინაარსს, იგი კიდევ უფრო ძაბავს განწყობილებას და ემოციებით აღვსილ მაყურებელს შურისძიების გრძნობას უზრდის. მართლაც განა საკმარისი იქნებოდა ამ გრძნობების გადმოცემა თუ გნებავთ მთელი სოფლის სიტყვიერი პროტესტით, ათი ათასი გორაზე წამოძახილით?! ჭაბუკიანმა იცის ადამიანის ტანის მოძრაობის ძალა, მან გაშმაგებული გლეხკაცობის პროტესტი ტანის პლასტიკურ ენაზე გადაიტანა და როცა სიტყვა ქორეოგრაფიულ მოძრაობასაც შეუერთდა, მაშინ უფრო მძლავრი გახდა ხალხის სტიქიური რისხვა.

ფინალური სცენა შთამაგონებელი ქორეოგრაფიული ბატალიაა, რომლის დახატვა შეეძლო მხოლოდ დიდი მხატვრული გემოვნებისა და გულის მქონე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების შესახებ

გენერალური ასამბლეის სპეციალური კომიტეტი შეუდგა რეზოლუციათა პროექტების განხილვას

პარიზი, 25 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის სპეციალური კომიტეტი შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების შესახებ რეზოლუციათა პროექტების განხილვას.

კომიტეტმა უნდა განიხილოს 11 პროექტი, რომლებიც შემოიტანეს ავსტრალიამ, არგენტინამ, ...

საბჭოში, რომლებმაც მოითხოვეს რამდენიმე ხნით გადადებულიყო ცეილონის მიღების საკითხი, რათა ცეილონის მთავრობისაგან მიეღოთ ცნობები სახელმწიფო სტატუტისა და კონსტიტუციის შესახებ, აგრეთვე საკმაოდ დამამტკიცებელი საბუთები, რომ ცეილონს უნარი შესწევს შესრულოს წესდების მოთხოვნები, ნამდვილად თითქოს არ სურდათ მიეღოთ ...

ბები. გუნეტილეკემ სურვილი გამოთქვა პირადად შეხვედროდა საბჭოთა დელეგატებს. ამ თხოვნაზე დადებითი პასუხი მიეცა.

— როგორღა შეუძლია ყოველივე ამის შემდეგ პოკსონს თქვას, რომ ჩვენ დაინტერესებული არა ვართ ცნობებით ცეილონის სახელმწიფო სტატუტის შესახებ? — იკითხა ვიშინსკიმ. — საჭიროა განსაკუთრებული სითამა...

ავსტრიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია

ვენა, 26 ნოემბერი, (საქდესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა რეზოლუცია მომავალი პარლამენტის არჩევნების შესახებ.

ფიგლ-შერფის მთავრობამ, ნათქვამია რეზოლუციაში, დიდი ხანია გადაუხვია მთავრობის პროგრამას, რომელიც 1945 წლის არჩევნების შემდეგ გამოცხადდა. ავსტრიელი ხალხის ფართო მასებმა, მათ შორის ორი მმართველი პარტიის მომხრეებმა, დაკარგეს ნდობა მთავ...

...ლიერებენ ხალხის მასების ექსპლოატაციას.

კომუნისტური პარტია ამ მანევრის წინააღმდეგ ილაშქრებს. მას კვლავ თავის პირველი რიგის ამოცანად მიაჩნია ბრძოლა ხალხის ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. იგი მოუწოდებს მუშებსა და მოსამსახურეებს უშიშრად და გაბედულად დაიცვან თავიანთი ეკონომიური მოთხოვნები.

მთელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ კოალიციური პარტიების ზედაფენამ გადაწყვიტა მთავარ საარჩევნო-სააგიტაციო საშუალებად გამოიყენოს სულ უფრო მზარდი ანტისაბჭოთა პროპაგანდა და ცილისმწამებლური კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ, რათა თავი დააღწიოს ხალხის წინაშე ავსტრიის პრობლემათა შესახებ ანგარიშის ჩაბარების აუცილებლობას და დაფაროს ის ფაქტი, რომ მისი პოლიტიკა მიმართულია უცხოეთის კაპიტალისათვის ავსტრიის დამორჩილებისაკენ. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს კაპიტალისტების ზემოგებას და იწვევს მშრომელთა გაღატაკებას.

გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ ავსტრიაში არსებობს მხოლოდ ერთი პარტია, რომელიც ეწინააღმდეგება მთავრობის პარტიების ანტიხალხურ პოლიტიკას და იბრძვის მშვიდობისათვის, ავსტრიელი ხალხის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის. ეს არის კომუნისტური პარტია.

მთავრობის კრიზისი ჩინეთში

სიდნეი, 26 ნოემბერი. (საქდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, ჩან კაი-შიმ საკანონმდებლო იუანის თავმჯდომარე სუნ ფო დანიშნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადამდგარი ვენ ვენ-ჰაოს ნაცვლად. ეს დანიშვნა დასამტკიცებლად წარედგინება საკანონმდებლო იუანს.

გერმანიის სახალხო საბჭოს მიმართვა

ბერლინი, 25 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ შედგა გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა პროფესორ კასტნერის თავმჯდომარეობით. სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი შემდეგი მიმართვა:

„სამუშლისნხევარმა განვლო მას შემდეგ, რაც დამთავრდა ჰიტლერული ომი ...

...ხალხმა მით უფრო გადაუდებლად უნდა წამოაყენოს საზავო ხელშეკრულების დადების მოთხოვნა, რომელიც გაუადვილებს მას დემოკრატიული მეურნეობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ამოცანას და უზრუნველყოფს სხვა ხალხებთან მშვიდობიან თანამშრომლობას.

გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მიმართავს თხოვნით — დაუყოვნებლივ მოიწვიონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რათა მან განიხილოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი ...

...ბის მთავრობებს, ... უნდა მიიღონ ამ თათბირში, და მსოფლიოს ხალხებს უჩვენოს შემდეგი წინადადებები.

მოსამზადებელი ღონისძიებანი

1. იალტისა და პოტსდამის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საზავო ხელშეკრულებისათვის ძირითად დებულებათა შემუშავება.
2. გერმანიის ადმინისტრაციული და სამეურნეო ერთიანობის დამყარება.
3. მთელ გერმანიაში ვალუტის ერთიანობის ...

...მეწარმეთა დახმარებით კაპიტალისტური მონოპოლისტებისა და მემამულეთა იზოლაციის პირობებში.

3. თავისუფალი საგარეო ვაჭრობის აღდგენა.
4. საოკუპაციო ჯარების გაყვანა საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.
5. ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის განახლება და გერმანიის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი:
ვილჰელმ პიკი, ოტტო ნუშკე,
პროფესორი გერმან კასტნერი.

ჩეხოსლოვაკიაში განაჩენი გამოუტანეს ჯაშუშურ-ტერორისტული ორგანიზაციის მონაწილეებს

პრაღა, 26 ნოემბერი. (საქდესი). პრაღის სახელმწიფო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულთა, ტერორისტთა და ჯაშუშთა ჯგუფის საქმის გამო, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „ჩეხურ კომიტეტს“ შეადგენდნენ.

... ნეის ამერიკული დაზვერვის დავალებით, სადაც ბრალდებულნი ერთ დროს არალეგალურად გაიქცნენ ჩეხოსლოვაკიიდან. ისინი სპეციალურად მოამზადეს ამერიკული დაზვერვის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით. შემუშავებულ იქნა ჯაშუშური, ტერორისტული და ...

...დებულს. დანარჩენ ბრალდებულთ მიესაჯათ სხვადასხვა ვადის პატიმრობა, ხოლო ზოგიერთ მათგანს — მუდმივი პატიმრობა.

სასამართლოში საფუძვლიანად გამოირკვა, რომ „ჩეხური კომიტეტი“ შექმნეს ბუქამ, კრაიჩიროვიჩმა, ხოცმა და ჩაპეკმა დასავლეთ გერმა...

...გარდა ჯაშუშური და ძირგამომთხრელი საქმიანობისა, ტერორისტებს დაუსახეს ამოცანა — მოეკლათ ზოგიერთი თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. კერძოდ, ითვალისწინებდნენ ეროვნული თავდაცვის მინისტრ გენერალ სვობოდაზე თავდასხმის მოწყობას.

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

„ლ ა უ რ ე ნ ს ი ა“

(დასასრული)

რეჟისორ-შემოქმედს. „დაჩოქილ სიცოცხლეს ფეხზე მდგომარედ გმირული სიკვდილი სჯობია“, — გაიძახის ლაურენსია და ვ. წიგნაძის მიერ დიდი აქტიორული დამაჯერებლობით წარმოსახული ეს სიტყვები უნებლიეთ გვახსენებენ მადრიდსა და ბილბაოში ალყაშემორტყმულ ესპანელთა ბედს. ვ. წიგნაძემ შესძლო ამ რთული როლის თავისებური გაგება, მისი ლაურენსია ფსიქოლოგიურ-დრამატული ფერებით არის გახსნილი. თუ პირველ მოქმედებაში იგი ჯერ კიდევ ლრუბელ-ღრუბელ დაფრინავს, მეოთხეში უკვე კუნთებდაჭიმული ჩასჭიდებია სისხლითა და ოფლით დამბალ დედამიწას. ვინ იფიქრებდა, რომ ლაურენსია ხალხს წინ გაუძღვებოდა. მაგრამ პირადი ...

...კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული შემოქმედებითი ძიების ჭეშმარიტი გამარჯვება!..

ჭაბუკიანი მშვენივრად გრძნობს ქართულ ხასიათს ხელოვნებაში. ხომ გახსოვთ ვაჟების ანსამბლის ცეკვა პირველ მოქმედებაში, განა იგი პათეთიკური და ვაჟკაცური ქართული „ხორუმის“ რიტმზე არ არის აგებული, განა იგი „ხორუმით“ არა სუნთქავს?.. საიერიშოდ დაწყობილი ქალების ცეკვაც უკანასკნელ მოქმედებაში „ხორუმზეა“ ასხმული. ჭაბუკიანის დიდი ოსტატობა იმაშიც არის, რომ მან კლასიკური ბალეტი ქართული საცეკვაო ფოლკლორის მაცოცხლებელი ძალებითაც გაამდიდრა. ჭაბუკიანი მტკიცედ აბიჯებს მშობლიურ მიწა-წყალზე და როცა უცხო ქვეყნის ბოგირზე შედგამს ხოლმე ფეხს, არც მაშინ კარგავს წო...

...მოცეკვავეები და ორკესტრი. დირიჟორმა დიდიმ მირცხულავამ საგრძნობი შრომა გასწია იმისათვის, რომ ფორმალიზმის გავლენით დაწერილი კრეინის მუსიკა ტკბილხმოვნად აჟღერებულიყო. ბევრია სათუო მუსიკაში, ბევრგან მელოდია და ფორმა ერთიმეორეს უწყრებიან, მაგრამ მათს მოურიგებლობას ისევ ჭაბუკიანის ცეკვის ძალა ფარავს.

გაიზარდნენ ჩვენი თეატრის სოლისტები და კორდებალეტი. მშვენიერია ჭაბუკიანის დუბლიორი ზურაბ კიკალეიშვილი, რომელმაც ახალგაზრდული ტემპერამენტით შეასრულა ფრონდოსოს როლი. ამ სპექტაკლმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თენგიზ სანაძის და რევაზ მაღალაშვილის კარგი მომავალი. მათ იოლად დასძლიეს ჭაბუკთა დუეტი და კლასიკური ცეკვები. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ...

...რემარკას, მაგრამ განა როგორღა ... თხვეოდა შექსპირის რემარკას უმანკო ჩხეიძის მიერ ბრწყინვალე აქტიორული ოსტატობით განსახიერებული „ქართველი“ ჰამლეტი! მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს როლი არ იყო აქტიორის და ...

...ბალეტი სამურ და ლაზათიან შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, ზოგჯერ ყვითელი ფერის სიჭარბე თვალსა სჭრის, მაგრამ ამას კიდევ ეშველება.

სპექტაკლი უმოკლეს ვადაში დაიდ...

...წინათ გაზეთ „პრავდის“ განცეიფრება. მართლაც „გაკვირვებას იწვევს, რატომ მოხდა, რომ ასეთი მშვენიერი ნაწარმოები ჩვენი მოსკოვის თეატრების ყურადღების გარეშე დარჩა“...

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 28-XI **„გედის ტბა“** (დღისით), **„ჯამბაზები“** და **საკონცერტო განყოფილება** (3 აბ. 4 წარ. ტ. ტალახაძის მონაწილეობით, საღამოს);

რუსთაველის სახელობის — 28-XI **„პირველი ნაბიჯი“** (დღისით), **„მეგობრებამხანაგებზე“** (18 სერ. 3 წარმ. საღამოს);

მარჯანიშვილის სახელობის—28-XI **„რკინის პერანგი“** (დღისით), **„ურიელ აკოსტა“** (3 სერ. 3 წარმ. საღამოს);

გრიბოედოვის სახელობის — 28-XI **„ბელუგინის ქორწინება“** (დღისით), **„დიადი ძალა“** (9 აბ. 3 წარმ. საღამოს);

სომხური დრამატიული — 28-XI ...

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „კულტურა ი ჟიზნზე“ 1949 წლისათვის

„კულტურა ი ჟიზნ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გაზეთია.

გაზეთი აშუქებს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკის, კინოს, თეატრის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, უმაღლესი და საშუალო სკოლის საკითხებს; აქვეყნებს ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვას; ბეჭდავს პოლიტიკის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე გამოსული საბჭოთა და უცხოეთის ახალი წიგნების რეცენზიებს.

გაზეთი „კულტურა ი ჟიზნი“ გამოდის თვეში 3-ჯერ.

ხელმოწერის ფასი: 12 თვით—18 მანეთი, 6 თვით—9 მანეთი, 3 თვით 4 მან. და 50 კაპ.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებასა და ფოსტაში.

ვ. რუსაძე, გ. მგელაძე, მ. ჩინჩალაძე, ე. ჯაქია, შ. ხოფერია, ს. ჩაჩხუნაშვილი, ო. სპექტორი, ს. შუაქრიშვილი, ო. კობახიძე, ბ. გოლოვანევსკი, პ. ზურდული, პ. თავაძე, ქ. კახიძე, ა. გოგიტაშვილი, ა. ჭიჭინაძე, ვ. რობაქიძე იუწყებიან ნ. მამაცაშვილის მეუღლის **ალისა ანტონის ასულ მამაცაშვილის** გარდაცვალებას.

ზიზილო, სერგო ქურხულები, ამალია, ვანო რევიშვილები, ნელი, გიორგი ქობულიები, ზინა, ლუარსაბ შუბლაძეები, ნორა, ვახტანგ ნათენაძეები იუწყებიან **მარიამ მახარობლის ასულ სულთანიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მარის სახელობის ენის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ...

...რომ ვართანოვები, სიძეები დიმიტრი ბაქრაძე და მიხეილ გურგენიძე იუწყებიან **ანეტა აბელის ასულ ფირადოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-XI, 3 ს. მუზეუმის შესახვევი, 6.

დავით და ალექსანდრა თალაკვაძეები შვილებით იუწყებიან **ალისა ანტონის ასულ მამაცაშვილის** გარდაცვალებას.

...თბილკვებავაჭრობის საამშენებლო კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნიკოლოზ მამაცაშვილს მისი მეუღლის **ალისა ანტონის ასულ მამაცაშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67. ხამდივნო—3-06-88. განყოფილებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ხატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, უფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 12943